



მანუჩარი

კვირკველია

MANUCHAR KVIRKVELIA

ედიტირებულია

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenaishvili

პროექტის კოორდინატორი
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsiauri

ტექსტი
ელენე ბილიხოძე

TEXT
Elene Bilikhodze

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქცია
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, გიორგი დარჯანია,
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, Giorgi Darjania,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
გიგა გურასაშვილი, ბადრი კეთილაძე, ელგუჯა ბერიშვილი,
გიორგი ჭანიშვილი, www.sportphoto.ge

PHOTO
**Giga Gurasashvili, Badri Ketiladze, Elguja Berishvili,
Giorgi Chanishvili, www.sportphoto.ge**

პარტნიორები
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Wrestling Federation**

ISSN 2233-3096
ISBN 978-9941-0-3767-2

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები



მანუჩარ კვიციანი

2011



2008 წლის აგვისტო... ეს ის დროა, როდესაც ძნელად თუ რამე გაგვახარებს.

13 აგვისტო, პეკინის დროით 18 საათი და 44 წუთი. 74 კგ წონით კატეგორიაში მანუჩარ კვირკველია ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა! აგერ ახლა, ჩვენს თვალწინ მართლაც ისტორიული ამბავი მოხდა — დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ამ სახეობაში ოლიმპიური ჩემპიონი აქამდე არ გვყოლია. მანუჩარ კვირკველიამ შეძლო იმის გაკეთება, რასაც ქართველი გულშემატკივარი ამდენი წელი ელოდა. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონი არ გყოლია 1980 წლიდან, მას შემდეგ, რაც ვახტანგ ზლაგიძემ გაიმარჯვა მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებზე, მამასადამე — მთელი 28 წელიწადი! საყურადღებო ფაქტია: ვახტანგ ზლაგიძეც და მანუჩარ კვირკველიაც ოზურგეთელები არიან. ერთმაც და მეორემაც, რომ იტყვიან, თამაშ-თამაშ მოიგეს ოლიმპიადა — ეფექტურად და დიდი უპირატესობით.

მანუჩარის გამარჯვება სულ სხვა დროს და სხვა ვითარებას დაემთხვა — ომი და ტკივილი მცირე ხნით დაგვაგვიწყდა... ნახევარი საათის შემდეგ კი ქართველი ქომაგი საქართველოს ძიუდოსტთა ეროვნული გუნდის წევრის, ირაკლი ცირეკიძის ოლიმპიურ ოქროს ზეიმობდა. ნახევარფინალში ცირეკიძემ რუსების ფალავანი ივან პერშინი ჩამოიცილა გზიდან — ჯერ ტატამზე დასცა, მერე კი შებოჭა.

აქეთ ომი და იქით ოლიმპიადა.

* * *

74 კგ წონით კატეგორია ჩვენთვის სპეციფიკურია. საქმე ის არის, რომ საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია სწორედ ამ წონით კატეგორიაში ჭიდაობდა და ამდენად, მისთვის უფრო ნაცნობი იყო ამ წონის ნიუანსები და თავისებურებები.

პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე მანუჩარის ქვეჯგუფი ძალიან ძლიერი იყო. კი, ოლიმპიურ ხალიჩაზე სუსტები ვერ ხვდებიან, მაგრამ ქარ-



თველ ფალავანს მაინც გამორჩეულად ძლიერები ერგო. რა თქმა უნდა, თუ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს უმიზნებ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო, მათ შორის — სასტარტო შეხვედრებში ფავორიტად შერაცხულ მეტოქეთა დასამარცხებლად.

მანუჩარ კვიციანიამ ოლიმპიურ სარბიელზე პირველი შეხვედრა მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანს, ფრანგ კრისტოფ ჟენოტს მოუგო, რომელიც 2008 წელს ტამპერეში გამართულ კონტინენტის პირველობაზე ასევე მესამე ადგილზე გავიდა. ჩვენს ფალავანს ფრანგი მეტოქის დასამარცხებლად ორი სეტი ეყო.

მეორე დაპირისპირება გერმანელ კონსტანტინ შნაიდერთან გამართა. მეტოქეები ერთმანეთს კარგად იცნობდნენ და, ცხადია, ისიც იცოდნენ, რომ ბაქოს მსოფლიოს ჩემპიონატისაგან განსხვავებით, ამჯერად გამარჯვებას ბევრად მეტი ფასი ჰქონდა. 2007 წელს აზერბაიჯანის დედაქალაქში გამართულ ჩემპიონატში მანუჩარ კვიციანიამ კონსტანტინ შნაიდერთან მეორე წრეში ნააგო და საბოლოოდ მე-20 ადგილს დასჯერდა, თავად გერმანელი კი მაშინ მერვე ადგილზე გავიდა.

— შნაიდერთან ადრე წაგებულნი ვიყავით, ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა, — იხსენებს მანუჩარი, — საერთოდ არ ვაქცევდით ყურადღებას ძველ შედეგებს. თუ ვხვდები მეტოქეს, რომელთანაც წამიგია, ეს სულაც არ მთრგუნავს და მაშინებს. ხოლო როდესაც მეტოქე ადრე დამარცხებული მყავს, ამ ფაქტის გამო ყურადღებას არ ვადუნებ. ერთი რამ ზუსტად ვიცი — თუ გემინია, ვერ მოიგებ. ისევე როგორც, თუ მეტოქეს სათანადოდ არ აფასებ, ვერც მაშინ მოიგებ. ამიტომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ჩემთვის ადრინდელ შედეგებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. სხვა საქმეა, რომ წინა ორთაბრძოლებიდან მეტოქე შესწავლილი გყავს და ეს საქმეში გეხმარება.

როგორც ჩანს, მანუჩარს გერმანელი მეტოქე კარგად ჰყავდა შესწავლილი — მოზომილი, რაციონალური ჭიდაობით ორ სეტში გამარჯვა და ნახევარფინალში გავიდა. აქ მას ევროპის 2008 წლის ჩემპიონი, უნგრელი პეტერ ბაკსი ელოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, კვიციანი-ბაკსის შერკინება მეტად საინტერესოდ და დაძაბულად წარი-

მართა. პირველ სეტში კვირკველია ჩოქბჯენიდან დაუსხლტა მეტოქეს, ზემოდან მოექცა, ქულა აულო და სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა. შესვენების შემდეგ უკვე უნგრელი გააქტიურდა, ერთ მომენტში სამქულიანი გდება გამოუვიდა, ამას მანუჩარმა ორქულიანი ილეთით უპასუხა, მაგრამ მეტის გასაკეთებლად დრო არ ეყო. ყველაფერი მესამე სეტში გადაწყდა. კვირკველია უმალ შეტევაზე გადავიდა, პირველივე ხელსაყრელი მომენტი ეფექტური სამქულიანი გდებით დაასრულა და სანამ უნგრელი გონს მოვიდოდა, ბეჭებით გააკრა ხალიჩას — წმინდა გამარჯვება!

ცოტა ხანში გადამწყვეტი ბრძოლის დროც დგება. ხალიჩაზე უხმო-ბენ მანუჩარ კვირკველიას და ჩინელ იონგ ჰანგ ჩანგს. დარბაზში ენით აუნერელი ხმაურია — ჩინელები თავიანთ ფალავნს ამხნევენ და აგულიანებენ. ჩანგისთვის ოლიმპიადის ფინალში გასვლა თავისთავად დიდი წარმატებაა, მაგრამ როცა სანუკვარი ოქრო ასე ახლოს არის, მზად ხარ საკუთარ თავს აჯობო და მიზანის მისაღწევად ყველაფერი გაილო. ჩანგი გადამწყვეტი დარტყმისთვის ემზადება და დარბაზიც დიდი გამარჯვების მოლოდინშია — ჩინელებს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონი არასოდეს ჰყოლიათ. თუ დღეს ჩანგი მოიგებს, ეროვნულ გმირად შერაცხავენ. 2008 წელს, ოლიმპიადამდე ცოტა ხნით ადრე ჩანგი აზიის ჩემპიონი გახდა და მისი საოლიმპიადო შანსები ერთიორად გაიზარდა. ყოველ შემთხვევაში, ჩინელების მთავარი იმედი სწორედ ჩანგი იყო და ფინალამდე ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ოლიმპიადის მასპინძლებს სურდათ.

ფინალის წინ დარჩია და კვირკველია, ცხადია, ჩინელ მოჭიდავეზე ბჭობდნენ — მის ძლიერ და სუსტ მხარეებს აანალიზებდნენ. მეტოქეს კარგად იცნობდნენ — ბაქოს მსოფლიოს ჩემპიონატზე მანუჩარმა ჩანგს პირველივე შეხვედრა მოუგო. ეს ამბავი თავისთავად მნიშვნელოვანი იყო. როდესაც მეტოქე ერთხელ უკვე გყავს დამარცხებული, გრძნობ, რომ იგივე კვლავ შეგიძლია გააკეთო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ისიც უნდა გაითვალისწინო, რომ ოლიმპიური თამაშები განსაკუთრებული შეჯიბრებაა, სადაც ყველა მეტოქე თავგამოდებით იბრძვის, მით



უმეტეს — საკუთარ კედლებში, გულანთებული გულშემატკივრებით სავსე დარბაზში. მოკლედ, მწვრთნელმა და ფალავანმა ტაქტიკური მონახაზი შეაჯერეს, იმაზეც ისაუბრეს, თუ როგორ უნდა გამოეყენებინათ თავიანთ სასარგებლოდ დარბაზში შექმნილი ვითარება. „ნარმოიდგინე, რომ მთელი დარბაზი შენი გულშემატკივარია. დანარჩენს ყურადღებას ნუ მიაქცევ. დანარჩენი შენ ყველაზე კარგად გეხერხება. შენ ოლიმპიური ჩემპიონი გახდები და ეს რამდენიმე წუთში მოხდება!“ — ბეგი დარჩიამ თავის შეგირდს თვალეებში ჩახედა და მხარზე დაადო ხელი.

მანუჩარ კვირკველიას ჭიდაობა რომ ემარჯვება, ეს აქამდეც არაერთხელ დაუმტკიცებია. მაგრამ ის, რაც მან ფინალურ შეხვედრაში გააკეთა, მართლაც შთამბეჭდავი და ამაღელვებელი იყო. ჭიდაობის ძველი გულშემატკივარიც კი ძნელად თუ გაიხსენებს სხვა ისეთი შემთხვევას, როცა ოლიმპიადის ფინალში ერთ მოჭიდავეს მეორესთან ასეთი თვალშისაცემი უპირატესობა ჰქონოდა. და ეს ყველაფერი ნათელი გახდა პირველივე წამებიდანვე, ხელის პირველი ნაწილებისთანავე. კვირკველია უტევედა, ჩინელი თავს იცავდა, უფრო სწორად — ვერ იცავდა. ბრძოლა ახალი დაწყებული იყო, როცა ჩვენმა ფალავანმა ხელში აიტაცა მეტოქე, გადაიზნიქა, თავს ზემოთ მოიგდო, მერე კი ჰაერში წრე შემოახაზვინა და ხალიჩაზე ისე დააგდო, დაცემის ხმამ ამ კაკაფონიაშიც გამოაღწია ტრიბუნებამდე. ეს გდება ოთხი ქულით შეფასდა, არადა, სადაც სამართალია, კვირკველია ეგრევე წმინდა გამარჯვებას იმსახურებდა. ძიუდოში მსაჯები სწორედ ასე იქცევიან, მაგრამ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სხვაგვარი წესები მოქმედებს. აქ გდებისთვის, რაც არ უნდა ეფექტური იყოს, წმინდა გამარჯვებას არ იძლევიან. რაკი ასეა, ჭიდაობა გაგრძელდა, პირველი სეტის დარჩენილ დროში და შესვენების შემდეგაც ხალიჩაზე მანუჩარ კვირკველია დომინირებდა და მისი ოსტატობა ჩინელებმაც დააფასეს — ტაშით გააცილეს ჩვენი ჩემპიონი.

„მაყურებლებმა ის უძლიერესად აღიარეს. მადლობა ჩინელ ქომავს, რომელმაც მანუჩარის ჭიდაობა დააფასა და წარმატება ღირსეულად მიულოცა,“ — თქვა ბეგი დარჩიამ თბილისში დაბრუნების შემდეგ.



მანუჩარ კვიციანი:
„ბავშვობაში იშვიათად
ვმარცხდებოდი. თითო-
ქოს ყველაფერი ძალიან
იოლად გამომდიოდა. რა
თქმა უნდა, წამიგია კი-
დეც, მაგრამ ამის გამო არ
ვწერვიულობდი. პირიქით,
წაგებულ ორთაბრძოლებ-
ში ვხედავდი, რა ნაკლი
მქონდა და გამოსწორებას
ვცდილობდი.“



მანუჩარ კვიციანი
1978 წლის 13 ოქტომბერს
დაიბადა, მაგრამ ახლობ-
ლებს უთქვამთ, 13 თარსი
რიცხვით და დაბადების
თარიღად 12 ოქტომბე-
რი ჩაუწერიათ. მაშინ ვინ
წარმოიდგენდა, რომ 30
წლის შემდეგ მანუჩარ
კვიციანისთვის 13
რიცხვი ოცნების ასრუ-
ლებასთან დაკავშირებუ-
ლი თარიღი იქნებოდა.

მანუჩარ კვიციანიას ოსტატობა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამაც აღიარა — პეკინის ოლიმპიური თამაშების საუკეთესო მოჭიდავედ გამოაცხადა, შესაბამისი პრიზი კი მანუჩარს თავად ფილა-ს პრეზიდენტმა რაფაელ მარტინეტიმ გადასცა.


საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გენაძემ პეკინში გაკეთებულ პირველ კომენტარში თქვა: „ეს იყო უდიდესი წარმატება და იმ შრომის დაფასება, რაც ოლიმპიური ოთხნლეულის პერიოდში ჩვენი ნაკრების მოსამზადებლად გაკეთდა. პეკინურმა ტრიუმფმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჭიდაობა წარმატებული ქართული სპორტის განუყოფელი ნაწილია. მანუჩარ კვიციანიას ფინალური ორთაბრძოლის შემდეგ ჩემთან ჩინეთის ჭიდაობის ფედერაციის წარმომადგენლები მოვიდნენ და მანუჩარის ჩემპიონობას არა მარტო სპორტული, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება უწოდეს.“


ჩვენ ამ ტრიუმფისთვის დილიდანვე ვემზადებოდით და თითქოს წინასწარვე ვგრძნობდით, რომ პეკინში მანუჩარისთვის დაუმარცხებელი მეტოქე არ არსებობდა.

ქვეყნად მშვიდობა რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ზემოც სხვაგვარი იქნებოდა. სამშობლოში სამი ოლიმპიური ჩემპიონითა და სამი პრიზიორით დაბრუნება არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ჩვენზე ძლიერი ქვეყნებისთვისაც კი საამაყო და საოცნებოა. ასე, რომ დევიზი „უკეთ, ვიდრე ათენში“ რეალობად იქცა. ჩვენი ამ გამარჯვებების შემდეგ ქართველ ხალხს რწმენა დაუბრუნდა და მთელი მსოფლიოს გასაგონად ხმამაღლა განვაცხადეთ, რომ საქართველო არასდროს დაიჩოქებს“.

* * *

2008 წლის 16 აგვისტო. საზოგადოებრივი რადიოს ეთერშია სპორტული თოქ-შოუ „ესტაფეტა“. ცხადია, მთელი გადაცემა პეკინის ოლიმპიადას ეძღვნება. სტუდიას სტუმრობენ ლეგენდარული ფალავანი რომან რურუა და საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი






*მანუჩარ
კვირკველიას და ლევანტე
ფურედის (უნგრეთი)
ნახევარფინალური
შეხვედრა მსოფლიოს
ჩემპიონატზე.
პარიზი, 2003 წელი*

თამაზ მდინარაძე. პეკინიდან პირდაპირ ეთერში გვერთვება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი. რა თქმა უნდა, მთელი ქართული დელეგაცია ხარობს პირველი ქართული ოქროს მედლით. მანუჩარ კვირკველიასთვის საქებარ სიტყვებს არც ჩვენი სტუდიის სტუმრები იშურებენ.

რომან რურუა: „მანუჩარ კვირკველია დამსახურებული ჩემპიონია. მან უნაკლოდ შეითვისა ეს ურთულესი ფანდი, რომლითაც, ფაქტობრივად, გადანყვიტა ფინალის ბედი. მე თავად ვაკეთებდი ამ ილეთს და დამერწმუნეთ, ურთულესი და უმძიმესია დგომიდან მეტოქის „გადავლება“ და ილეთის ბოლომდე მიყვანა. ჩვენ ყველამ ერთად ვნახეთ, როგორი ოსტატობით ვაკეთდა ეს ყველაფერი. ამ ოლიმპიადაზე ასეთი ილე-



თი არ შესრულებულა. ყველაზე მთავარი იცით, რა იყო — გამარჯვების შემდეგ ჭკუიდან კი არ შეიშალა, არამედ კაცურად და თავშეკავებულად მოიქცა. ვულოცავ მანუჩარს ამ წარმატებას და ვისურვებდი, რომ ასეთი ნიჭიერი ფალავანი ნაკრებში ყოველთვის გვყავდეს.“

თავად მანუჩარ კვიციანი ამბობს: „მარაგში არაერთი ილეთი მაქვს, თუმცა შეუძლებელია, რომ ერთაბრძოლისას ყველა მათგანის გამოყენება სცადო. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიდაოდ რომ გავდივარ, რამდენიმე ილეთს ვირჩევ, რომელთა გამოყენებასაც ვაპირებ. ამ არჩევანს ძირითადი მონინააღმდეგის ფიზიკური და ტექნიკური შესაძლებლობების შესაბამისად ვაკეთებ. მაგალითად, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვთქვათ, მეტოქის სიმაღლეს, მოქნილობას.

*მანუჩარ
კვიციანი მსოფლიოს
ჩემპიონატის ფინალი
არმენ ვარდანის
(უკრაინა) მოუგო.
პარიზი, 2003 წელი*

ცხადია, როცა ბრძოლაში ერთვები, ხალიჩაზე შექმნილმა რეალურმა ვითარებამ შესაძლოა ახალი ამოცანის წინაშე დაგაყენოს, წინასწარ შერჩეულ ტაქტიკაში კორექტივების შეტანა დაგჭირდეს და ამისთვისაც მზად უნდა იყო.“

* * *


ვიდრე ოლიმპიურ სიმაღლეს დაიპყრობდა, მანუჩარ კვიციანი ამ ლიცენზიის მოსაპოვებლად საკმაოდ რთული გზა გამოიარა. საქმე ის არის, რომ მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონატზე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ, კვიციანის საოლიმპიადო შანსები საგრძნობლად შემცირდა. პეკინის საგზურის მოსაპოვებლად ორი შეჯიბრება ღრუბოდა, რომელთაგან პირველი იყო რომის 2008 წლის სალიცენზიო ტურნირი. კიდევ კარგი, რომ ჩვენმა ფალავანმა ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა და მაქსიმალური მონდომების წყალობით მაინც მიაღწია მიზანს.

ისე მოხდა, რომ პეკინის გზაზე მანუჩარს გადაეღობა რუსი ვალტერას სამურგაშევი — სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და ათენის თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი. სამურგაშევი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მრავალზღვის გამარჯვებულიც არის და რომის სალიცენზიო ტურნირის კენჭისყრის შემდეგ, სწორედ ასეთი აღიარებული ფალავანი დასახელდა კვიციანის პირველ მეტოქედ.

ამ წყვილის შერკინება გულშემატკივარმა პირველად იხილა 2006 წელს მოსკოვში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში. ის ბრძოლა კვიციანიმ წააგო, სამაგიეროდ, 2008 წლის 10 მაისს, რომში რევანშის აღება შეძლო. კვიციანიმ სეტები 5:0, 0:6, 2:1 დაასრულა და მთავარი ბარიერი დაძლია. რომის სალიცენზიო ტურნირზე მანუჩარმა ოლიმპიური საგზური ფინალში გასვლისთანავე გაინაღდა და რაკი მიზანი მიღწეული იყო, თურმე, ფინალში ჭიდაობას უარობდა. მაგრამ საქმეში ჩაერია საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია, რომელმაც ხალიჩაზე გასვლა საკმაოდ მკაცრი ტონით მოსთხოვა: „რა თქმა უნდა, სპორტსმენს ანგარიში უნდა გაუწიო, მაგრამ წესრიგი და დისციპლინა



მანუჩარ
კვირკველია მსოფლიოს
ჩემპიონატის
კვარცხლბეკზე.
პარიზი, 2003 წელი



მანუჩარ
კვიციანი ასე
გაუსწორდა მუჰამედ
ბაბულფატის (შვეცია)
და ევროპის ჩემპიონატის
ბრინჯაოს მედალი აიღო.
მოსკოვი, 2006 წელი

აუცილებელია. მანუჩარს ჩემი მოთხოვნა არ გაუპროტესტებია, მშვიდად გავიდა ხალიჩაზე და ფინალი წმინდად მოიგო. ფინალის შემდეგ ვუთხარი — გაიგე და დაიმახსოვრე, ამ ქვეყნად შენი მომგები არავინ არ არის-მეთქი,“ — მწვრთნელის ამ სიტყვებმა ფალავანს ფსიქოლოგიური მდგრადობა შემატა.

თავად მანუჩარი კი ფინალისწინა ამბებს ასე იხსენებს: „რომში ჩემი ერთადერთი მიზანი ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება იყო. ფინალში გასვლით ეს ამოცანა შევასრულე. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ტურნირის მოგება სასიამოვნოა, მაგრამ ლიცენზიის მოპოვების მერე დავფიქრდი, ფინალში ტრავმა რომ მივიღო, ამდენი შრომა წყალში ჩამეყრება-მეთქი. და ამის გამო აღარ მიხდოდა საჭიდაოდ გასვლა. გონებით უკვე პეკინში ვიყავი. მაგრამ მწვრთნელმა დამარწმუნა, რომ აუცილებლად უნდა მეჭიდავა და მეც გავედი. როგორც გითხარით, ტრავმა არ მივიღო-მეთქი, ამაზე ვფიქრობდი და იმ ბრძოლაში მეტოქეს ნეკნი გავუტეხე.“

რომის სალიცენზიო ტურნირზე ბრწინვალე გამოსვლის შემდეგ, მანუჩარ კვირკველიას ქომაგი უკვე 2008 წლის 13 აგვისტოს მოლოდინში იყო, თუმცა მაშინ ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ პეკინის ოლიმპიური თამაშების პარალელურად, საქართველო რუსეთის აგრესიის მსხვერპლი გახდებოდა...

„პეკინი — საქართველოს საომარი ველი იყო, ნინო სალუქვაძის პირველი მედალი კი ტოლფასი იმ მანდილისა, რომელიც ქართველი ერის გადარჩენისა და მშვიდობის სიმბოლოდ იქცა,“ — თქვა საქართველოს ნაკრების თავკაცმა ბეგი დარჩიამ, რომელმაც მანუჩარ კვირკველიასგან პირველი სამადლობელი სიტყვები პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე დოპინგ-ტესტების ჩაბარების შემდეგ მიიღო.

...პეკინში მანუჩარი ყველანაირად მზად რომ იყო, ეს სწორედ იმ მძიმე დღეებში გამოჩნდა. 2008 წლის 8 აგვისტოს, როდესაც საქართველოში დაწყებული ომის საპასუხოდ, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელები ოლიმპიური თამაშების შესაძლო დატოვების შესახებ საუბრობდნენ, აი, იმ დაძაბულ წუთებშიც კი კვირკველია და ცირეკიძე, თურმე, გარეგნული სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდნენ და სხვებსაც აქეთ-

კენ მოუწოდებდნენ. ორივენი კარგად ხვდებოდნენ, რომ იმ ძნელბედობის უამს მათი გამარჯვება ერთგვარი შვება იქნებოდა ჩვენი ხალხისთვის. თბილისში დაბრუნების შემდეგ კვირკველიას უამრავმა ადამიანმა უთხრა, ნამით მაინც დაგვაფინყეთ ის, რაც საქართველოში ხდებოდა და უმძიმესი წუთები გადაგვატანინეთო.

ირაკლი ცირეკიძე: „პეკინში მყოფი ქართველები განსაკუთრებით განვიცდიდით იმ ამბავს, რაც საქართველოში ხდებოდა. განსაკუთრებით იმიტომ, რომ სამშობლოსგან ასე შორს ვიყავით. ეს იყო უდიდესი ტრაგედია და როდესაც საქართველოში დაბრუნების შესახებ საუბრობდნენ, სიმართლე გითხრათ, მაშინ შეჯიბრზე ნაკლებად ვფიქრობდი. მე და მანუჩარმა ძალების სრული მობილიზება მხოლოდ შეჯიბრების წინა საღამოს შევძელით. მანუჩარის ჩემპიონობის ამბავი ფინალური ბრძოლის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე შევიტყვე და უდიდესი სტიმული მომცა. ჩვენთვის, ორივესთვის კი ნინო სალუქვაძის წარმატება გამოდგა ერთგვარი დოპინგი. ნინო მართლაც უნიკალური სპორტსმენია და ეს პეკინში კიდევ ერთხელ დადასტურდა.“

მანუჩარ კვირკველია: „რაც იმ დღეებში საქართველოში ხდებოდა, ბუნებრივია, გვალელებდა, მაგრამ ვიცოდი, რომ სრული მობილიზაციის გარეშე ჩემპიონი ვერ გავხდებოდი და ამიტომ ვცდილობდი, მხოლოდ ჭიდაობაზე მეფიქრა. სამწუხაროდ, ყველა ქართველმა სპორტსმენმა ეს ვერ მოახერხა, თორემ უკეთეს შედეგს აჩვენებდნენ.“


საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა კი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ განაცხადა:

„პეკინში გამგზავრებამდე საპატრიარქოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დაგვლოცა და გვითხრა, თქვენი წარმატება, უპირველესად, ქვეყანას მიუძღვეს... 13 აგვისტოს ქართული დელეგაცია ორად გაიყო. მიუხედავად იმისა, რომ ძიუდოსა და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის დარბაზები საკმაოდ ახლოს იყო, მანუჩარის ფინალის შემდეგ ბევრმა ვერც მოასწრო ირაკლი ცირეკიძის გადამწყვეტი შეხვედრა ეხილა. იყო

ევროპის ჩემპიონატის
ფინალში მანუჩარ
კვირკველიამ
შვეიცარიელი რეტო
ბუჩერი ისე დაანარცხა
ხალიჩას, კინალამ იატაკი
ჩაანგრევინა.
სოფია, 2007 წელი







მანუჩარ
კვიციანი, კვიციანი შვეიცარიელ
რეტო ბუჩერთან
გამარჯვებას და ევროპის
ჩემპიონობას ზეიმობს.
სოფია, 2007 წელი

უდიდესი სიხარული, იყო ცრემლები, მაგრამ ზეიმი, ისევ და ისევ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისა გამო, მხოლოდ რამდენიმე წუთს გაგრძელდა.“

...ფინალური შეხვედრის დასრულების შემდეგ, მანუჩარი, თურმე, უმალ ფეხმძიმე მეუღლეს შეეხმინა, მანდ რა ხდება, ოჯახში ქალიშვილი ხომ არ შემოგვემატაო. პატარა მარიამი მოგვიანებით, 25 აგვისტოს დაიბადა, როცა ქართული დელეგაცია საქართველოში გამოსამგზავრებლად ემზადებოდა. ოლიმპიურ ჩემპიონს პეკინის აეროპორტში შეატყობინეს ეს სასიხარულო ამბავი. სხვათა შორის, პირველი შვილის — სანდროს დაბადების დროსაც საზღვარგარეთ ყოფილა შეჯიბრებაზე.

მანუჩარ კვიციელია და მისი მწვრთნელი ოჯახებით მეგობრობენ. ეს სიახლოვე ბეგი დარჩიას ხელს არ უშლის მანუჩართან ურთიერთობაში, იმაში, რომ, სადაც საჭიროა, პრინციპული და მომთხოვნი იყოს. გამოცდილმა მწვრთნელმა კარგად იცის, რომ დიდი ჩემპიონები თავისით არ იზადებიან. მანუჩარ კვიციელია დიდი ჩემპიონია და ბეგი დარჩია ამით ძალიან ამაყობს, თუმცა არც იმ ადამიანების ღვაწლს ივინყებს, ვისი თანადგომითაც შესაძლებელი გახდა ასეთი სპორტული სიმაღლეების დაღაშქვრა: „სპორტში, ისევე როგორც ცხოვრებაში, ათასი დაბრკოლების დაძლევა გინევს, ვიდრე სამშვიდობოს გახვალ და რალაც შედეგს მიიღებ. ამ გზაზე მარტო ვერ ივლი და გარშემო მყოფთა გვერდში დგომის გარეშე არაფერი გამოვა. მე ძალიან მადლობელი ვარ იმ ხალხისა, ვინც ამ წლების განმავლობაში გვეხმარებოდა, ხელს გვიწყობდა, საქმეს გვიიოლებდა და გვაგულიანებდა.“

მანუჩარ კვიციელია, როგორც უკვე ითქვა, პეკინის ოლიმპიადის საუკეთესო მოჭიდავედ აღიარეს. გარჯა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელს ბეგი დარჩიასაც დაუფასეს — ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის 2008 წლის შემაჯამებელ სხდომაზე მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

რა გასაკვირია, რომ იმავე წელს ბეგი დარჩია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რჩეულთა შორისაც მოხვდა.

მანუჩარ კვიციანი კი საქართველოს საუკეთესო სპორტსმენის-
თვის განკუთვნილი ჯილდო ვერც ევროპის, ვერც მსოფლიოსა და ვერც
პეკინის ოლიმპიური თამაშების მოგების შემდეგ დაისაკუთრა... 2008
წელს საუკეთესოდ ირაკლი ცირეკიძე აღიარეს.

* * *

მანუჩარ კვიციანი 1978 წლის 13 ოქტომბერს დაიბადა, მაგრამ
ახლობლებს უთქვამთ, 13 თარსი რიცხვითა და დაბადების თარიღად 12
ოქტომბერი ჩაუნერიათ. მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ 30 წლის შემ-
დეგ მანუჩარ კვიციანისთვის 13 რიცხვი ოცნების ასრულებასთან
დაკავშირებული თარიღი იქნებოდა.

მანუჩარი დაბადების დღეს ყოველთვის 13-ში აღნიშნავდა, მიუხე-
დავად იმისა, რომ ის დღე ხანდახან ჩხუბითა და აყალმაყალით სრულ-
დებოდა. მარტოდ დარჩენილი საკუთარ თავს არწმუნებდა, რომ რიცხვი
13 რაღაც უჩვეულოს უმზადებდა.

როცა პეკინის ოლიმპიური თამაშების განრიგი გამოქვეყნდა და
ოლიმპიადაზე მანუჩარ კვიციანის გამოსვლის თარიღი გაირკვა, ახ-
ლობლები კვლავ შეფიქრიანებულან, მაგრამ მანუჩარს და ბეგის ყვე-
ლანი დაუმშვიდებიათ — აი, ნახავთ და თავადვე დარწმუნდებით, რომ
რიცხვი 13 არც ისე საშიშიაო.

მაგრამ, მოდით თავი დავანებოთ ცრურწმენებს და მომავალი
ოლიმპიური ჩემპიონის პირველი სპორტული ნაბიჯები გავიხსენოთ.
მანუჩარის მეზობლად ცხოვრობდა საკმაოდ წარმატებული მოჭიდავე
ურა მჭავანაძე. სწორედ მას შეუგულიანებია მანუჩარის დედა, ქალბა-
ტონი დოდო დარჩია — ეს შენი მაკვარანცხი ბიჭი ჭიდაობაზე მივიყვან-
ნოთ, კოჭებში ეტყობა, მისგან კარგი მოჭიდავე დადგებაო. ქალბატო-
ნი დოდო ჯერ ოზურგეთის საჭიდაო დარბაზში გამართულ რომელი-
ღაც შეჯიბრებას დასწრებია და მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმებულა.
მწვრთნელად ცნობილი სპეციალისტი გურამ მაჭარაშვილი შეურჩევი-
ათ. მაჭარაშვილი თავის დროზე კარგი მოჭიდავე იყო, რომ იტყვიან —
საერთაშორისო დონისა. მერე წარმატებული მწვრთნელი გახდა.



საქართველოს
ბერძნულ-რომაული
სტილის მოჭიდავეთა
ნაკრების მთავარი
მწვრთნელი ბეგი
დარჩია და ოლიმპიური
გუნდის მთავარი ექიმი
ზურაბ კახაბრიშვილი.
პეკინი, 2008 წელი

ოზურგეთში ჭიდაობა ისედაც პოპულარული იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვახტანგ ბლაგიძემ 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიური თამაშებში მოიგო, ჭიდაობაში ვარჯიშის მსურველთა რიცხვი ერთიორად გაიზარდა. გურამ მაჭარაშვილიც ორმაგი დატვირთვით შეუდგა მუშაობას. როცა მასთან სავარჯიშოდ პატარა მანუჩარი მიუყვანიათ, გურამს რჩეულ ბიჭებთან გამოუცდია — აბა, ერთი ვნახოთ, რა შეგიძლიაო. მანუჩარს რამდენიმე თანატოლი ზედიზედ წაუქცევია და მწვრთნელის განსაკუთრებული ყურადღება დაუმსახურებია.

— ბავშვობაშიც იშვიათად ვმარცხდებოდი, — იხსენებს მანუჩარ კვირკველია, — თითქოს ყველაფერი ძალიან იოლად გამომდიოდა. რა თქმა უნდა, წამიგია კიდეც, მაგრამ ამის გამო არ ვწერვიულობდი. პირიქით, წაგებულ ორთაბრძოლებში ვხედავდი, რა ნაკლი მქონდა და გამოსწორებას ვცდილობდი. პარალელურად, სპორტის სხვა სახეობებსაც არ ვივინწყებდი. ცურვაში და ბაგირზე ცოცვაში რაიონის პირველობის გამარჯვებულიც ვიყავი. ეს ყველაფერი ისევ და ისევ ჭიდაობაში მეხმარებოდა.

ხანდახან ვარჯიშსაც აცდენდა, მაგრამ ეს ძირითადად მაშინ ხდებოდა, როცა გული სათევზაოდ გაუნევედა. მწვრთნელმა იცოდა მანუჩარის გატაცების შესახებ და ამ „სისუსტეს“ დიდსულოვნად პატიობდა, ოღონდ თხოვდა — წინასწარ გამაფრთხილეო. ნელ-ნელა მწვრთნელსა და მოსწავლეს შორის საქმიანი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. მანუჩარმა გურამ მაჭარაშვილთან საყრდენი კედელი იპოვა.



— თევზაობა რომ არ მყვარებოდა, შეუძლებელი იყო, — გვიყვება მანუჩარი, — ოზურგეთში, ჩემი სახლიდან ოციოდე მეტრში მდინარე ჩამოდიოდა და ბავშვებს, რა თქმა უნდა, სულ იქითკენ მიგვიწევდა გული. თევზაობის სიყვარული დღემდე გამომყვა და თავისუფალ დროს თუ გამოვძებნი, ანკესს ვკიდებხოლმე ხელს. ახლა საუკეთესო ანკესები მაქვს, ბავშვობაში ეგეთები აბა, საიდან მექნებოდა. მეგობრებმაც იციან ჩემი გატაცების შესახებ და ხშირად მეპატიჟებიან სათევზაოდ. დავიჭერთ თევზს, იქვე შევწვავთ და გეახლებით. თევზაობა დასვენების საუკეთესო საშუალებაა.



*მანუჩარ კვიციანი
ოლიმპიურ სარბიელზე
პირველი შეხვედრა მსოფ-
ლიოს 2007 წლის ჩემპი-
ონატის ბრინჯაოს მედა-
ლოსანს, ფრანგ კრისტოფ
ჟენოტს მოუგო.*

მანუჩარ კვიციანის ერთი „სისუსტეც“ აქვს — მანქანები, უფრო ზუსტად კი, სისწრაფე უყვარს. თითქოს უცნაურია ასეთი კონტრასტი: მშვიდად თევზაობა და მანქანით სწრაფად სიარული.


ჭიდაობაშიც ძალიან სწრაფია. ხალიჩაზე გადანყვეტილებასაც სწრაფად იღებს და მეტოქეებს წამით ასწრებს ხოლმე. მისი პირველი სერიოზული შეჯიბრება იყო იური სიორიძის სახელობის ტურნირი, რომელიც ძალზე პოპულარულია ოზურგეთში. მრავალფეროვანი ილეთებით და ბრძოლის ჟინით მანუჩარმა ყველას დაამახსოვრა თავი.



მანუჩარ კვიციანი:
„რაც ოლიმპიადის
დღეებში საქართველოში
ხდებოდა, ბუნებრივია,
გვაღელვებდა, მაგრამ
ვიცოდი, რომ სრული
მობილიზაციის გარეშე
ჩემპიონი ვერ გავხდებოდი
და ამიტომ ვცდილობდი,
მხოლოდ ჭიდაობაზე
მეფიქრა.“



პეკინის ოლიმპიადაზე,
მეორე წრეში მანუარ
კვიციანიმ გერმანელი
კონსტანტინ შნაიდერი
დაამარცხა



მანუჩარ კვიციანი:
„შნაიდერთან ადრე წა-
გებული მქონდა, თუმცა
ეს ბევრს არაფერს ნიშ-
ნავდა. საერთოდ არ ვაქ-
ცივ ვურადლებას ძველ
შედეგებს. თუ ვხვდები
მეტოქეს, რომელთანაც
წამიგია, ეს სულაც არ
მთრგუნავს და მაშინებს.
ხოლო როდესაც მეტოქე
ადრე დამარცხებული
მყავს, ამ ფაქტის გამო
ურადლებას არ ვადუნებ.“

გურამ მაჭარაშვილი, ისევე როგორც ბეგი დარჩია, თავის დროზე მიხილ გოგუაძის შევირდი იყო. შემდეგ ორივე საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები გახდნენ. მაჭარაშვილს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და ამიტომაც მანუჩარი თბილისში თამამად ჩაიყვანა.

თბილისში კვირკველია ჯერ ჯონი რეხვიაშვილთან ვარჯიშობდა, შემდეგ კი ბეგი დარჩიას პირადი მოსწავლე გახდა. მწვრთნელისა, რომელიც მანუჩარს ბიძად ეკუთვნის. თავდაუზოგავი შრომა, კეთილსინდისიერება და სპორტისადმი თავდადება — ასეთი იყო ახალი მწვრთნელის პირველი მოთხოვნები. მანუჩარი მიხვდა, რომ ახალ გარემოში მის წინაშე ახალი ამოცანები დგებოდა, რომელთა დასაძლევად და შესაბამისად, ოსტატობის დასახვეწად საჭირო იყო მეტი მონდომება და წვრთნისადმი პროფესიული მიდგომა. ბეგი დარჩიაც მალე დარწმუნდა მანუჩარის ნიჭიერებაში და იმაშიც, რომ საკმაოდ რთული ხასიათი ჰქონდა. ამის გამო პირველ ხანებში იყო გარკვეული უთანხმოებაც, მაგრამ ნელ-ნელა პრობლემები მოგვარდა და მთავარი ყურადღება ყოველდღიურ მონოტონურ ვარჯიშებზე გადავიდა.

ვარჯიშებს შეჯიბრებები მოჰყვა, შეჯიბრებებს — მოგებული და წაგებული შეხვედრები. მანუჩარი რისკიან მოჭიდავედ ჩამოყალიბდა, რომელიც აზარტით ერთვებოდა შეტევებში, არაორდინალურ გარძელებებს პოულობდა, მაგრამ რისკი ხშირად არ ამართლებდა და ამ მიზეზით ხელიდან ეცლებოდა გამარჯვება. ამის მიუხედავად, მანუჩარი მაინც რისკის ზღვარზე ჭიდაობდა და, შინ თუ გარეთ, ყველასთვის რთულ, მოუხელთებელ მეტოქედ ითვლებოდა. ილბლიანიც იყო, სპორტული კარიერის განმავლობაში არაერთი ჯილდო მოიგო, ყველა უმაღლესი ტიტული მოიპოვა, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, არაერთხელ გამხდარა არაობიექტური მსაჯობის მსხვერპლი და შესაბამისად, არაერთი მედალიც დაუკარგავს.



— არაობიექტურ მსაჯობას ხშირად ვაწყდები, — სინანულით ამბობს მანუჩარი, — არათუ სეტი, რამდენიმე ისეთი ბრძოლა წამაგებინეს, დღემდე ვერაფრით მივმხვდარვარ, მაინც როგორ მოახერხეს მეტოქისთვის ამდენი ქულის მითვლა. ოღონდ, ასეთ დროს მთავარია, რომ

ნერვებმა არ გიმტყუნოს. ისევ შენ დარჩები წაგებული — დისკვალიფიკაციას მოგცემენ, შენს ფედერაციასაც ჯარიმის გადახდას დააკისრებენ. ამიტომ არანაირი აზრი არ აქვს არათუ ჩხუბის ატეხვას, გაპროტესტებასაც კი. გამოუცდელ სპორტსმენებს ხშირად ემართებათ ასე და გამოუსწორებელ შეცდომასაც უშვებენ. ასეთ დროს ცივისსხლიანი უნდა იყო და ამით მსაჯების კეთილგანწყობასაც იმსახურებ სამომავლოდ. თუმცა მესმის, რომ ძალიან ძნელია იმის მოთმენა, როდესაც უნამუსოდ გჩაგრავენ და ამდენი შრომა წყალში გეყრება.


ჩოქბჯენიდან აქაჩვა და გდება — ეს მანუჩარ კვირკველიას საყვარელი ფანდია. როგორც პირველი მწვრთნელი გურამ მაჭარაშვილი ამბობს, მანუჩარს ძლიერი წელი აქვს და ამიტომაც, ეს ილეთი კარგად გამოსდის. ასე იყო პეკინის ოლიმპიადაზეც. თავის დროზე თავად გურამიც ხშირად იყენებდა ამ მოძრაობას.

მას შემდეგ, რაც თბილისში ჩამოვიდა და ბეგი დარჩიას მოსწავლე გახდა, გურამ მაჭარაშვილი შეგირდის წარმატებებს თვალს უკვე შორიდან ადევნებს: „როდესაც მანუჩარი ოლიმპიადის ფინალს ჭიდაობდა, ნერვიულობისგან ტელევიზორთან ვერ გავძელი, გარეთ გამოვედი და ეზოში მახარეს მისი გამარჯვება... საერთოდ, ძალიან ემოციური ვარ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩემი მოსწავლე ჭიდაობს და ახლა წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როცა პეკინის ხალიჩაზე, ოლიმპიადის ფინალში ჩემი გაზრდილი მანუჩარ კვირკველია იდგა... 2003 წელს მსოფლიო ჩემპიონატის წინ ბოლო დასკვნით მოსამზადებელ შეკრებაზე ბორჯომში მასთან ერთად ვიყავი. ნასვლის წინ მითხრა, უეჭველად ჩემპიონი გავხდებიო. ათენის ოლიმპიურ თამაშებზეც გავაცვილე და იქ რაც მოხდა, ყველას კარგად ახსოვს. პეკინში გამგზავრების წინ არც დამირეკავს... რაღაც კარგი წინათგრძნობა მექონდა და გამიმართლა. ჩემი ოცნება, ოლიმპიური ჩემპიონის მწვრთნელი ვყოფილიყავი, 2008 წლის 13 აგვისტოს რეალობად იქცა.

1980 წელს ოლიმპიური ოქროს მედალი ასევე ოზურგეთელმა და ჩემმა თანაგუნდელმა ვახტანგ ზლაგიძემ მოიპოვა. ეს პირველი დიდი სიხარული იყო. მოსკოვის ოლიმპიადის წინ გამართულ დასკვნით მო-



მანუჩარ კვიციანისა
და უნგრელი პეტერ
ბაკსის ნახევარფინალურ
შეხვედრაში ყველაფერი
მესამე სეტში გადაწყდა.
კვიციანი უმალ
შეტევაზე გადავიდა,
პირველივე ხელსაყრელი
მომენტი ეფექტური სამ-
ქულიანი გდებით დაას-
რულა და სანამ უნგრელი
გონს მოვიდოდა, ბეჭე-
ბით გააკრა ხალიჩას —
წმინდა გამარჯვება!





გურამ მაჭარაშვილი:
„ბეკინში გამგ ზაფრების
წინ მანუჩარისთვის არც
დაშირეკავს. რაღაც კარგი
წინათგრძობა მქონდა და
გამიმართლა. ჩემი ოცნე-
ბა, ოლიმპიური ჩემპიონის
მწვრთნელი ვყოფილიყა-
ვი, 2008 წლის 13 აგვის-
ტოს რეალობად იქცა.“



პეკინის ოლიმპიურ
სოფელში

სამზადებელ შეკრებაზე ჩვენ ერთ ოთახში ვცხოვრობდით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბერძნულ-რომაული ჭიდაობა პოპულარული უფრო დასავლეთ საქართველოშია. ხუთი ოლიმპიური ჩემპიონიდან გივი კარტოზია და რომან რურუა სამეგრელოს, ხოლო ვახტანგ ქორიძე, ვახტანგ ზლაგიძე და მანუჩარ კვიციელია გურიის წარმომადგენლები არიან... მანუჩარი პეკინიდან რომ ჩამოვიდა, მითხრა, ხომ ყველა სურვილი და დანაპირები შეგისრულეო?! თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. გარდა ამისა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩემს მეგობარსა და თანაგუნდელ ბეგი დარჩიას ასევე ასახელებენ 74 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე მსოფლიოს უძლიერესი ფალავნის პირად მწვრთნელად.“

* * *

მანუჩარ კვიციელიამ დიდებში პირველ ოფიციალურ ტურნირში 2002 წელს იჭიდავა. ფინეთში ჩატარებული კონტინენტის პირველობის ფინალური დაპირისპირება კვიციელიამ თურქ სერეფ ეროღლუსთან წმინდად წააგო და მეორე ადგილზე გავიდა. იმავე წელს მოსკოვში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრავმირებულ კვიციელიას ბრინჯაოს მედალი ერგო. ქართველმა ფალავანმა პირველი შეხვედრა ბელარუსი ვიტალი ზუკის წინააღმდეგ ჩაატარა. ამ წყვილის ორთაბრძოლა პირველად 2002 წელს ევროპის პირველობაზე გაიმართა და მაშინაც კვიციელიას გამარჯვებით დასრულდა. ბერძენ კონსტანტინოს არკუდეისა და ბულგარელ ნიკოლაი გერგოვთან საკმაოდ იოლი გამარჯვებების შემდეგ, გადამწყვეტი ბრძოლების დროც დადგა. კვიციელიამ აზერბაიჯანელ ფარიდ მანსუროვთან ნახევარფინალი წააგო — წარბი გაუსკდა და მთელი ძალით ვერ იჭიდავა. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში მანუჩარმა პერსპექტიული და უკვე ტიტულიანი ახალგაზრდა რუსი მაქსიმ სიმონოვი საკუთარი მაცურებლის თვალწინ დაამარცხა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

მერე იყო 2003 წელს საფრანგეთში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი და იქ მოპოვებული უდიდესი წარმატება — მსოფლიო ჩემპი-

ონის ტიტული. მანუჩარმა, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით გაიარა მთელი ტურნირი, პლანეტის საუკეთესო ფალავნებს შანსი არ დაუტოვა და ისტორიაში მეთერთმეტე ქართველი ფალავანი გახდა, ვინც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ფინალის წინ მასთან მისულა გულშემატკივრად მყოფი, 1989 წლის 9 აპრილს დაღუპული თამარ ჭოველიძის მამა და უთქვამს: „ჩემმა შვილმა საქართველოს სიცოცხლე შესწირა, შენ შეგიძლია ჩვენი დროშა ააფრილო და ქართველები გაახარო...“ ამ სიტყვებს მანუჩარზე საოცრად უმოქმედია.

ამასობაში ახლოვდებოდა ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშები. მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონატზე ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ ყველა აღიარებდა, რომ 66 კგ წონით კატეგორიაში ეს მანუჩარის მაქსიმუმი იყო, რადგან წონის შენარჩუნება გაუჭირდებოდა. თუმცა ვერავინ ვერაფერს შეცვლიდა, რადგან ოლიმპიური ლიცენზია სწორედ ამ წონაში ჰქონდა მოპოვებული.

ათენის ოლიმპიური თამაშების წინ ჟურნალისტი ირაკლი თავაძე გაზეთ „მსოფლიო სპორტის“ მკითხველს კიდევ ერთხელ შეახსენებს ფრანგული ტრიუმფის პერიპეტიებს: „კვირკველიას საჭიდაო ნიჭი კარგად გამოჩნდა შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე. განსაკუთრებით, ფინალში, რომელიც მის ბენეფისად იქცა, თუმცა მანუჩარმა ფინალამდეც საჩემპიონო ბრძოლები გადაიხადა. ჯერ იყო და, მერვედფინალში პოლონელი ოლიმპიური ჩემპიონი რიშარდ ვოლნი ქულებით სუფთად დაამარცხა, შემდეგ კი ეროლლუს სასწაულებრივი შეხვედრა შემოუტრიალა. აღსანიშნავია, რომ იგი ორივე შეხვედრას აგებდა, მაგრამ ვოლნის სულ რაღაც ოთხ წუთში მოუთავა ხელი, შემდეგ კი დანიშნურებული ეროლლუ (უკვე გამარჯვებას რომ ზეიმობდა) ისე ლამაზად დაარჭო სამქულიანზე, მთელი დარბაზი გიჟური ოვაციით წამოუხტა ფეხზე და ტაშის გრიალით ლამის ჭერი ჩამოანგრია. ამან მისი აქციები ერთიორად ასწია, თუმცა ქომაგები არც მანამ აკლდა. კვირკველია თავიდანვე პოპულარულ ფალავნად და გამარჯვების ერთ-ერთ რეალურ პრეტენდენტად იქცა. მაგალითად, კანადელი ეისლი რობინსონი, მასთან პირველ-



მანუჩარ კვიციანის
ჭიდაობა რომ ემარჯვება,
ეს აქამდეც არაერთხელ
დაუმტკიცებია, მაგრამ
ის, რაც მან ფინალურ
შეხვედრაში გააკეთა,
მართლაც შთამბეჭდავი
და ამაღლებელი იყო.
ჭიდაობის ძველი გულშე-
მატკივარიც კი ძნელად
თუ გაიხსენებს სხვა ისეთ
შემთხვევას, როცა ოლიმ-
პიადის ფინალში ერთ
მოჭიდავეს მეორესთან
ასეთი თვალშისაცემი
უპირატესობა ჰქონოდა.



ფინალური ბრძოლა
ახალი დაწყებული იყო,
როცა ჩვენმა ფალავანმა
ხელში აიტაცა მეტოქე,
გადანიხიქა, თავს ზემოთ
მოიგდო, მერე კი
ჰაერში წრე შემოახა ზვინა
და ხალიჩაზე ისე დააგდო,
დაცემის ხმა ამ
კაკაფონიაშიც გამოაღწია
ტრიბუნებამდე.





რომან რურუა:
„მანუჩარ კვიციანი
დამსახურებული ჩემპიონია. მან უნაკლოდ შეითვისა ეს ურთულესი ფანდი, რომლითაც, ფაქტობრივად, გადამწყვიტა ფინალის ბედი. მე თავად ვაკეთებდი ამ ილეთს და დამერწმუნეთ, ურთულესი და უმძიმესია დგომიდან მეტოქის „გადავლება“ და ილეთის ბოლომდე მიყვანა. ჩვენ ყველამ ერთად ვნახეთ, როგორი ოსტატობით გაკეთდა ეს ყველაფერი.“

სავე წრეში დამარცხების შემდეგ, თურმე ყოველი შეხვედრისას მიდიოდა, მონონების ნიშნად ხელს მხარზე უტყაპუნებდა და ჩემპიონი უნდა გახდეთ, ეუბნებოდა. ეროლლუსთან გამარჯვება მით უფრო ფასეული იყო, რომ თურქი მისთვის უხერხული მეტოქე გახლდათ — ისინი მანამ სამჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს და სამივე ოსმალს მოეგო. ბეგი დარჩიას აზრით, ფიზიკურად კვირკველია ეროლლუზე ცოტა ძლიერია და სწორედ ეს კოზირი უნდა გამოეყენებინა, რაც შეგირდმა პირნათლად შეასრულა.

ასეთი მეტოქეების შემდეგ ნახევარფინალში უტიტულო და საშუალო დონის უნგრელი ლევანტე ფურედი იოლი ლუკმა იყო და იოლადაც გადაყლაპა, ამ დროს კი მეორე ნახევარფინალში ორი სომეხი თავდაუზოგავად ებრძოდა ერთმანეთს. მათგან მსოფლიოს 2001 წლის ჩემპიონი ვაგინარ გალუსტიანი ისტორიული სამშობლოს ღირსებას იცავდა, არმენ ვარდანიანი კი, რომელმაც მსოფლიომდე რამდენიმე თვით ადრე ევროპის პირველობაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, მის კონკურენციას უკრაინაში გაქცეოდა. ქართველ მწვრთნელთა შტაბიც სწორედ მას ქომაგობდა, რადგან უფრო ტიტულიანი გალუსტიანი შედარებით ძლიერ მეტოქედ მიაჩნდათ, მაგრამ თურმე კვირკველია საპირისპიროდ ფიქრობდა: „გალუსტიანი მსოფლიოს ჩემპიონი კი იყო, მაგრამ ის ტიტული ორი წლით ადრე მოიპოვა, ვარდანიანი კი იმ სეზონში გახდა ევროპის ვიცე-ჩემპიონი. ამიტომ უფრო კარგ ფორმაში ის უნდა ყოფილიყო,“ — ჩემპიონობით გახარებული კვირკველია მოგვიანებით სიამოვნებით იგონებდა ფინალისწინა ამბებს. მისი მოლოდინი მართლაც გამართლდა — ვარდანიანმა მოიგო და გადამწყვეტ შეხვედრაში ბრძოლის უფლება მოიპოვა.


ფინალური შეხვედრა ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ — პირველი ნახევარი ვარდანიანისა იყო, მერე კი კვირკველიამ აინყვიტა. წინა შეხვედრების მსგავსად, კვირკველია აქაც ჩამორჩა და ტელევიზორს მიჯაჭვულ გულშემატკივრებს ლამის გული გაგვიჩერა. მთელი პირველი ნახევარი ის იმდენად ინერტულად და უსიცოცხლოდ ჭიდაობდა, ალბათ, ქომაგთა უმრავლესობამ მსოფლიო ჩემპიონობაზე ხელიც ჩაიქნია.

პესიმიზმი ლამის დაუძლეველი მაშინ გახდა, როცა ვარდანიანი ორი ქულით დანიწარდა. ბეგი დარჩია გიჟს ჰგავდა. იგი ხმის ჩახლეჩამდე კი გაჰყვიროდა, აქტიურად შეუტიეო, მაგრამ ხალიჩაზე თითონ ხომ ვერ შევიდოდა. თითქოს ჯიბრზე, მანუჩარი თითქმის ყველა შეხვედრაში მის მიერ მიცმული დავალებების საპირისპიროდ იქცეოდა — მწვრთნელები თავიდანვე შეტევისკენ მოუწოდებდნენ, რადგან მისი ტექნიკურობის თუ სისწრაფისა ეიმედებოდათ, ის კი ყოველთვის ასე ინერტულად ჭიდაობდა. ამიტომ თითქმის ყოველ შეხვედრაში თავიდან აგებდა. სინამდვილეში, ეს კვირკველიას ტაქტიკური ფანდი ყოფილა. „მწვრთნელები ასე კი მეუბნებოდნენ, მაგრამ შეტევას არ ვჩქარობდი. ამით მეტოქის ყურადღებას ვადუნებდი და როცა ის მოეშვებოდა, მაშინ გადავდიოდი შეტევაზე,“ — თქვა თბილისში დაბრუნებულმა კვირკველიამ.

თუმცა მაშინ მწვრთნელებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და დარჩია ამიტომაც ვერ თოკავდა ნერვებს. ამიტომ უყვიროდა ისე გამგელებული და ნერვებმოშლილი. არც ამას დასჯერდა — შესვენებაზე მანუჩარს ყბაში ისეთი მიაჩრტყა, მეგონა, გამშველებელი დასჭირდებოდათ.

მეორე ნახევარიც ისეთივე სცენარით დაიწყო, მაგრამ დიამეტრულად განსხვავებულად დამთავრდა — ვარდანიანი კვლავ უტევედა, კვირკველია კი ისევ პასიურობდა. ამისთვის მსაჯებმა ჩოქბჯენში ჩააყენეს. სომეხმა აქაჩა და წრის კიდესთან გაიყვანა. მისი მხრიდან ეს ძალიან ჭკვიანური ნაბიჯი იყო. ბედისწერა იყო თუ გულის კარნახი, იგი თურმე სწორედ იმ საშიშროებაზე ფიქრობდა, რასაც თავი მაინც ვერ დააღწია. საქმე ისაა, რომ თუ კვირკველია მას წრის შუაში ბეჭებზე დასცემდა, წმინდა გამარჯვებასაც მოიპოვებდა, ხოლო თუ წრის გარეთ გადავარდებოდა, მოწინააღმდეგე, უბრალოდ, ქულებს მიიღებდა და მას მდგომარეობის გამოსწორების შანსი ისევ რჩებოდა. ვარდანიანი თურმე ამ ვარიანტს საგანგებოდ კი ითვლიდა, მაგრამ ვიღაცა წყალს გაუბოდა და ცვარმა დაახრჩოო, მაინც ისე მოუვიდა. მან ილეთის გასაკეთებლად საჭირო ერთნუთიანი მოსამზადებელი პერიოდი ბოლომდე გამოიყენა, ფანდი კი მხოლოდ ცაიტნოტთან მისულმა წამოიწყო. კვირ-

გამარჯვების ნამი —
მანუჩარ კვიციანი
ოლიმპიური ჩემპიონია!




კვიციამ სწორედ აქ გამოავლინა თავისი სისწრაფე, როცა ჰაერში მეტოქის მარწუხებს თევზივით გაუსხლტა, კარგად ჩახურა და ანგარიშიც გაათანაბრა. ძირითადი დრო ასეც დამთავრდა, დამატებითი კი, წესისამებრ, ჯვარედინი მოვლებით დაიწყო, რომელიც კვიციანიამ ლამაზი გდებით დაასრულა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. გაოგნებული და სასონარკვეთილი ვარდანიანი გახარებულ და მწვრთნელისკენ გაშლილი ხელებით გაქცეულ ქართველს ერთხანს კიდევ ებლაუჭებოდა, თითქოს ამით ცდილობდა დაკარგული შანსის დაბრუნებას.

თუმცა საინტერესო ამბები ამით არ დასრულებულა. კვიციანი დარჩიას ზედ კისერზე შეახტა, მაგრამ ამან, მილოცვის მაგივრად, იმდენი ნერვიულობის საზღაურად, ლამაზი კისრულით წამოიღო, ხა-



ბეგი დარჩია:
„სპორტში, ისევე როგორც ცხოვრებაში, ათასი დაბრკოლების დაძლევა გინევს, ვიდრე სამშვიდობოს გახვალ და რაღაც შედეგს მიიღებ. ამ გზაზე მართლ ვერ ივლი და გარშემო მყოფთა გვერდში დგომის გარეშე არაფერი გამოვა. მე მაღლობელი ვარ იმ ხალხისა, ვინც ამ წლების განმავლობაში გვეხმარებოდა, ხელს გვიწყობდა, საქმეს გვიიოლებდა და გვაგულიანებდა.“



მანუჩარ კვიციანი:
 „ოლიმპიური ოქროს
 მოგებას ვერც ერთი
 ტურნირის ჩემპიონობა ვერ
 შეედრება. ამას სიტყვებით
 ვერ გადმოსცემ.“

ლიჩას სავსე ტომარასავით დააბერტყა და ემოციებისგან დაცლილმა სკამს მიაშურა. საერთოდ, ფრანგი ტელეოპერატორები თურმე მთელი ტურნირის მანძილზე საგანგებოდ აკვირდებოდნენ მის მანერებს. მით უფრო რომ თურმე არც დარჩიას ფინალური ნერვიულობა ყოფილა პირველი და არც ის მუჯღუგუნი შესვენებისას. თურმე მწვრთნელი მომავალ ჩემპიონს ლამის ყველა შეხვედრისას ასე უყვიროდა და მუჯღუგუნებით აფხიზლებდა. მოგვიანებით ეს კადრები „ევროსპორტმა“ სპორტულ კურიოზებშიც აჩვენა“ — და ასე დარჩა ერთი არაჩვეულებრივი ოზურგეთელი მწვრთნელი ფრანგული ობიექტივის წარუშლელ კადრად, რომელსაც მის მშობლიურ კუთხეში სიამაყით



პეკინის ოლიმპიადაზე
მანუჩარ კვიციანი
უკვე ფლობდა ევროპისა
და მსოფლიოს ჩემპიონის
ტიტულებს, პეკინური
გამარჯვებით კი ოქროს
მედალების სრული
კოლექცია შეკრა

ოლიმპიური კვარცხლბეკი:
 იონგ შინგ ჩანგი (ჩინეთი),
 მანუჩარ კვიციანი (საფრანგეთი),
 იავორ იანაკიევი
 (ბულგარეთი)
 და კრისტოფ ფენოტი
 (საფრანგეთი)



უყურებდნენ, მაგრამ ჩვეული გურული სიფიცხით, კურიოზად დღესაც არ აღიარებენ.

მაშინ მანუჩარს არც ბეგის და არც გურამ მაჭარაშვილის საქებარი სიტყვები არ მოუსმენია, რადგან წინ ათენის ოლიმპიური თამაშები იყო.

ნებისმიერ შეჯიბრებაზე მწვრთნელისა და შეგირდის უმთავრეს მიზანს წონის ჩაბარება წარმოადგენდა და შესაბამისად, პრობლემამ ათენში მანუჩარი ჯერ ფიზიკურად, შემდეგ კი ფსიქოლოგიურად გაანადგურა.

თავად მანუჩარი ასე იხსენებს: „თოთხმეტი კილო მქონდა დასაკლები. ოლიმპიურ ლიცენზიას რომელ წონით კატეგორიაშიც მოიპოვებ, იმ წონაში უნდა იჭიდავო. 13 კილო დავიკელი. ცოტალა მიკლდა, მაგრამ ეტყობა ორგანიზმა ვერ გაუძლო, გონება დავკარგე...“

2004 წლის 24 აგვისტოს ათენის ოლიმპიური თამაშების პირველივე შეხვედრაში კვიციანი მსოფლიოს ჩემპიონ თურქ სერეფ ეროღლუს შეხვდა.



*მანუჩარ კვირკველია:
„ბეკინის ოლიმპიადა
საქართველოში ომს
დაემთხვა და ერთადერთი,
რაც მაშინ შემეძლო
ჩემი ხალხისთვის
გამეკეთებინა,
ჩემპიონობა იყო. მიხარია,
რომ ეს შევძელი.“*

თურქმა ამჯერად ყველაფერი გააკეთა, რათა მანუჩარის ნერვებზე ეთამაშა. არც პროვოკაციას მოერიდა და, რომ არა ბეგი დარჩიას ჩარევა და უდიდესი ძალისხმევა, მანუჩარის დანყნარება კულისებში უკვე ყველას ძალიან გაუჭირდებოდა.

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე განცდილი მარცხისა თუ ფიასკოს მიუხედავად, მისი სახელი მაინც მუდამ წარმატებასთან ასოცირდებოდა...

დინჯი, ხანდახან სიტყვაძუნწი და ხანდახანაც "ხასიათის კაცი" მანუჩარ კვირკველია ჩემს ფავორიტად სწორედ ათენის ოლიმპიური თამაშების შემდეგ იქცა.

ხალიჩაზე გადატანილი პერიპეტიების მიუხედავად, ყველას ამაყი მზერით და მომავალი წარმატების იმედად დაგვემშვიდობა.

მზერას კი მხოლოდ და მხოლოდ მისი ხასიათის მცოდნე ადამიანი თუ შეიცნობდა... ხასიათიდან და ბუნებიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად მას უჭირდა. უჭირდა, მაგრამ არ იმჩინებდა, რადგან იბრძო-



ოლიმპიურმა
ჩემპიონმა ტრიბუნაზე
გადანაცვლა და იქიდან
გულშემატკივრობდა
თანაგუნდელებს



მანუჩარ კვიციანი
ოსტატობა ჭიდაობის
საერთაშორისო ფედერაციაში
ალიარა —
პეკინის ოლიმპიური
თამაშების საუკეთესო
მოჭიდავედ გამოაცხადა,
შესაბამისი პრიზი კი
მანუჩარს თავად ფილა-
პრეზიდენტმა რაფაელ
მარტინეტიმ გადასცა

და, ებრძოდა ყველას — საკუთარ თავს, ნაცნობ თუ უცნობ ქომავს და რაც მთავარია, იბრძოდა მასთან... „ბეგი მასწავლებელთან,“ რომელმაც ათენშიც მხარი აუბა და მანუჩარსაც, ალბათ, ჯერ მისთვის და შემდეგ საკუთარი თავისთვის სურდა სიძლიერის დამტკიცება.

„ჩემი სურვილია, მანუჩარის მაგალითი ახალგაზრდა თაობისთვის მისაბაძი იყოს. თუმცა იმასაც ვაღიარებ, რომ მწვრთნელის გარეშე დიდი ჩემპიონობა წარმოუდგენელია. ათენის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ჩვენ თითქმის ორი თვის განმავლობაში არც კი ვსაუბრობდით, რადგან მსურდა შეცდომა თავად ელიარებინა და აეხსნა ჩემთვის ყველა ის მიზეზი, რაც მე ისედაც ძალიან კარგად ვიცოდი,“ — გაიხსენა მოგვიანებით ბეგი დარჩიამ, რომელიც თავად საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების მეორე და ორგზის მესამე პრიზიორი და საფრანგეთის, რუმინეთის, ფინეთის, აშშ-სა და ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულია.

1992-1993 წლებში ბეგი დარჩია საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებების მთავარ მწვრთნელად პარალელურად მუშაობდა. მისი ხელმძღვანელობით 1993 წელს საქართველოს ახალგაზრდული





ირაკლი ცირეკიძე და
მანუჩარ კვიციანი
ოლიმპიურ სოფელში

ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ადგილზე გავიდა, ეროვნული გუნდის თავკაცის რანგში კი სხვადასხვა დროს მსოფლიოს არაოფიციალური გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული და მეორე პრიზიორი გახდა. კონტინენტის პირველობის სამგზის ბრინჯაოს მედლის მფლობელმა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნულმა ნაკრებმა ბეგი დარჩიას ხელმძღვანელობით 2004 წელს მსოფლიოს თასი, ხოლო 2003 წელს მესამე პრიზიურობა იზეიმა.

66 კგ წონით კატეგორიაში მანუჩარ კვიციანი სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი აკაკი ჩაჩუა შეცვალა. ჩაჩუამ პირველად საერთაშორისო სარბიელზე 1993 წელს სტამბოლში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავა და მაშინ შეექცეა ადგილს დასჯერდა. 1997 წელს აკაკი ჩაჩუა კონტინენტის პირველობის ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. პირველივე შეხვედრაში თურქ სერეფ ეროღლუსთან განცდილი მარცხის შემდეგ, ფსიქოლოგიური შოკისგან ნაკრების მწვრთნელის ოთარ ტატიშვილის შეძახილმა იხსნა.

თავიდან ფალავანთა კლუბში მისული მანუჩარ კვიციანიასთვის აკაკი ჩაჩუას ყურადღება არ მიუქცევია. პირველად ერთმანეთს საქართველოს ჩემპიონატზე დაუპირისპირდნენ და იმ დროს გუნდის ლიდერმა კვიციანიასთან გამარჯვება მხოლოდ და მხოლოდ ბოლო წამებზე მოიპოვა.

მერე საჭიდაო იღეთებსაც ასწავლიდა და კვიციანიას მეგობარი გახდა.

მანუჩარ კვიციანიას მოსვლა დროის გამოძახილი იყო. დარჩიას გადანყვებილებით, აკაკი ჩაჩუამ მაშინ ასპარეზი ახალგაზრდა ფალავანს დაუთმო და როდესაც კვიციანიას მიერ დამარცხებული „საბჭოური საჭიდაო მენტალობის“ მქონე ფალავანთა გვარები ამოიკითხა, გაოცება ვერ დამალა. მერე კი საჭიდაო სამყაროში არა მარტო წესები, არამედ თავად სტილიც რამდენჯერმე შეიცვალა.

...ბეგი დარჩიასთან კონფლიქტები მანუჩარის კარიერის განუყოფელი ნაწილია. და სიტყვები: „მე დავამთავრე, აქ აღარ მოვალ“ — მუდმივად ისმოდა... აკაკი ჩაჩუა ამ დროს „მომრიგებელი მოსამართლის“ როლს ასრულებდა. ბეგის გარეშე მანუჩარს ჭიდაობის სამყაროში შემოსვლა გაუჭირდებოდაო — ამბობს ჩაჩუა და მწვრთნელთან გადატანილ ყოველ „ომს“ მოგებული შეხვედრის ტოლფასად მიიჩნევს. ისე მოხდა, რომ აკაკი ჩაჩუამ კვიციანიას პეკინისწინა სამზადისის თვალი ინტენსიურად ვერ მიაღწენა, თუმცა მეგობრის იმედი ყოველთვის ჰქონდა.

აკაკი ჩაჩუა: „მანუჩარი უზომოდ მშრომელია, მაგრამ თუ წონასწორობიდან არ გამოიყვან, ისე არ იჭიდავებს. გაბრაზებული კვიციანიასთვის მეტოქის რანგსა და ტიტულს უკვე მნიშვნელობა არ აქვს და ამ მომენტში მას გოლიათის დამარცხება შეუძლია. შეჯიბრების დროს ხანდახან „მდუმარე აქციებს“ აწყობდა, ხანდახან ისე გაგივილიდა, ზედ არ შემოგხედავდა, რამეს თუ კითხავდი, ხშირად უპასუხოდ რჩებოდი. ცხოვრებაში გულჩათხრობილი მანუჩარის წამალი დაყვავებაა, არადა, სპორტი „შემოლანუნების“ გარეშე წარმოუდგენელია.“

აკაკი ჩაჩუა თავისი სპორტული კარიერის იმ ეპიზოდს იხსენებს, როდესაც ბულგარელი არმენ ნაზარიანის მწვრთნელებმა ჯერ ტკბილი



პეკინის ოლიმპიურ
სოფელში

თვითმფრინავში —
ბეკინიდან თბილისისკენ



საუბარი გაუბეს, მერე ფული შესთავაზეს — მაინც წააგებ და ბოლომდე არ ეჭიდავო, ძალები დაზოგოსო. ჩაჩუამ თავი მოტყუებულად იგრძნო და ფსიქოლოგიურად გატყდა, მეტოქე კი წინასწარვე ზეიმობდა გამარჯვებას. აკაკი ჩაჩუა ამბობს, რომ მანუჩარმა უკარება ხასიათით ძალიან ბევრი რამ მოიგოო.

მანუჩარ კვიციანის კიდევ ერთი სახასიათო ნიშანი: მას ახალგაზრდულ ასაკში საერთაშორისო სარბიელზე არც ერთი ტიტული არ აქვს მოგებული, საქართველოს პირველობაზე კი ბრინჯაოს მედალი მხოლოდ ერთხელ დაისაკუთრა და მაშინაც ჩემპიონატის ნახევარფინალური შეხვედრა სწორედ აკაკი ჩაჩუასთან წააგო. მერე ოპერაციაც გაიკეთა და ერთი წლის შემდეგ ხალიჩაზე დაბრუნებულს წონის ლიდერად ალექსანდრე დობტურიშვილი დაუხვდა.

თავად მანუჩარი ახალგაზრდულ ასაკში ჯილდოების ნაკლებობას ხშირი ტრავმებით ხსნის — თითქმის ორი წელი გამიცდა და მედეები, აბა, როდის უნდა მომეგოო. მერე დადგა აღმასვლის და წარმატებების პერიოდი. მანუჩარი საქართველოს ნაკრების ლიდერი გახდა და ამ ნაკ-

რების მთავარი მწვრთნელის მოთხოვნებიც გაიზარდა: „ბეგი არ არის ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია ვინმე ნათესავური კავშირით გამო-არჩიოს. პირიქით, ორმაგ წნეხში ვიყავი. ათი თავით ძლიერი უნდა ვყოფილიყავი სხვაზე. მომწონს საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულება. ასე რომ არ ყოფილიყო, ძალიან გამიჭირდებოდა, რადგან დიდ სპორტში უმნიშვნელო შეცდომასაც არავინ გაპატიებს,“ — თვლის მანუჩარ კვიციანი, რომელიც ყოველთვის გრძნობდა ბეგი დარჩიას სრულ მხარდაჭერას.

* * *

მანუჩარ კვიციანი 2005 წლიდან მზადება ახალ, 74 კგ წონით კატეგორიაში დაიწყო და იმავე წელს ვარნასა და ბუდაპეშტში გამართულ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, შესაბამისად, მერვე და მეთექვსმეტე ადგილები დაიკავა.

2006 წელს მოსკოვში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა, სადაც მანუჩარმა ბრინჯაო აიღო. პირველი ევროპული ბრინჯაოდან ოთხი წლის შემდეგ ის კვლავ მესამე ადგილზე გავიდა, ოღონდ ამჯერად ფინალური ეტაპის საგზური ვარლტერას სამურგაშევთან დათმო. 2006 წელს მანუჩარის „ბრინჯაოს ხანაც“ შეიძლება ეწოდოს, რადგან ის ჩინეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზეც მესამე იყო. მან იქ ნახევარფინალი სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანთან, მსოფლიოს ჩემპიონ ფინელ მარკო ჰანუკსელასთან წააგო.

დადგა 2007 წელი და მანუჩარ კვიციანი კონტინენტის ჩემპიონატზე ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

ამასობაში ოლიმპიური თამაშებიც მოახლოვდა.

პეკინის ოლიმპიადა მანუჩარ კვიციანის ტრიუმფით დასრულდა.

„პეკინში მაქსიმალურად მობილიზებული ვიყავი. ჩემი ერთადერთი მიზანი ოქროს მედალი იყო. ოლიმპიური გზა ისე გავიარე, თავადაც გამიკვირდა,“ — ასე შეაფასა ოლიმპიურმა ჩემპიონმა თავისი წიდაობა.

მართალია, ძლიერი მეტოქეები ფინალამდე დაამარცხა, მაგრამ რაკი ფინალში ჩინელთან წიდაობდა, მსაჯებისგან ზენოლის მოლოდინში,

თავს მუდმივად აკონტროლებდა და დარჩიას დავალებებს ამჯერად პირნათლად ასრულებდა. მანუჩარი თვლის, რომ გადამწყვეტ შეხვედრაში მინიმუმ სამი და მაქსიმუმ ხუთი ქულის აღება კიდევ შეეძლო, მაგრამ ბოლო წამები იყო და ზედმეტ რისკს მოერიდა, რაკი ოლიმპიური ოქრო უკვე ჯიბეში ედო.

ჩინელებისგან აგრესია ნამდვილად არ უგრძვნია. პირიქით, ჩვენმა ჩემპიონმა მქუხარე ტაში და მაყურებელთა სიმპათია დაიმსახურა.

„საჭიდაოდ რომ გავდივარ, მე და ბეგი წინასწარ არაფერზე ვსაუბრობთ. ხალიჩაზე მისი ხმა მესმის. ნერვიულობს. იმდენი შრომა აქვს ჩადებული, ზოგჯერ ჰგონია, რომ გათიშული ვარ და ფიქრობს, სანამ დროა შემოვკრა, ვიდრე მერე ვინანო... ერთი-ორჯერ ისე შემომილანუნა, კინალამ გონება დაგკარგე. ვუთხარი, ნუ მირტყამ, ისედაც ყველაფერი კარგად მესმის-მეთქი,“ — სიცილით ამბობს მანუჩარი.

პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ყველაფერი სულ სხვაგვარად იყო — ხალიჩაზე გასვლის წინ მანუჩარს ბეგისგან მხოლოდ საქებარი სიტყვები ესმოდა. მწვრთნელის ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს — გამოცდილია, ყველაფერს სხვა თვალთა აფასებს. ბეგი რომ არ ყოფილიყო, ძალიან გაუჭირდებოდა.

...პეკინიდან დაბრუნებულ ჩემპიონს მეუღლე — ინგა შანავა პატარა მარიამ კვირკველიასთან ერთად შეეგება. მარიამი ქვეყანას 25 აგვისტოს მოეწვინა, ორი წლის სანდრომ კი უკვე იცოდა, რომ მამამ ძალიან დიდი რამ მოიგო და წარმატებას საქართველოს დროშაში გახვეული, გაბრწყინებული თვალებით ზეიმობდა.

„მეც უნდა ვიჭიდავო!“ — უთხრა სანდრომ სახლში დაბრუნებულ მამას.

* * *

მანუჩარის და ინგას ურთიერთობის ისტორია ათენის ოლიმპიური თამაშების შემდეგ დაიწყო, როდესაც განზილებული მანუჩარ კვირკველია ათენიდან პირდაპირ ტაშკენტში ჩავიდა თანაგუნდელ აკაკი ჩაჩუასთან ერთად. მანუჩარის მასპინძელი იყო ჩვენი გუნდის უკვე ყოფილი



*მანუჩარ კვიციანი:
„პეკინიდან თბილისში
დაბრუნების პირველივე
ნუთებიდან, ყოველ
ნაბიჯზე ხალხისგან
უდიდესი სითბო ვიგრძენი.
ეს მართლაც
წარმოუდგენელი
ბედნიერებაა.“*

წვერი, უზბეკეთის სახელით მოჭიდავე ალექსანდრე დობტურიშვილი, რომელმაც ათენის ხალიჩაზე ოლიმპიური ოქროს მედალი დაისაკუთრა. დობტურიშვილი იმხანად, დროებით, სწორედ შანავეების ოჯახში ცხოვრობდა. ინგა უზბეკეთში საქართველოს საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი იყო, პარალელურად თბილისში სწავლობდა. მოგვიანებით, საქართველოს დედაქალაქში ჩამოსული გოგონას მასპინძელი თავად მანუჩარი გახდა.

ინგა დღეს ხუმრობს, ღმერთმა ათენში წაგების სანაცვლოდ მანუჩარს ჩემი თავი აჩუქა, რადგან იქ ოლიმპიური ჩემპიონი რომ გამხდარიყო, არც ტაშკენტში ჩამოვიდოდა და ვერც ჩვენი შეხვედრა შედგებოდაო.

ინგა შანავა: „ცამეტ აგვისტოს, დილით ადრე სანთლები დავანთე და ღვთისმშობელს მანუჩარის გამარჯვება შევთხოვე. რატომღაც მეგეროდა, რომ უფალი ჩვენსკენ იქნებოდა და ყველაფერი კარგად დასრულდებოდა. იმდენი შრომა და წვალევა გამოიარა, მართლა იმსახურებდა ამ მედალს... სახლში ჭიდაობაზე არ ლაპარაკობს. ამბობს, ჩემთან ქალები უმრავლესობაში არიან და ჭიდაობაზე ხომ არ დავუნყებ ლაპარაკსო. ჭიდაობის ჩანაწერებს ხშირად უყურებს, იღეთებს ანალიზს უკეთებს, ნიუანსებს აფიქსირებს.“

მანუჩარ კვირკველიას ორი გოგო და ერთი ვაჟი ჰყავს, 2012 წლის მაისში კი მეოთხე შვილს ელოდება.

პეკინიდან ჩამოსვლის შემდეგ საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, პროფესორმა გურამ რატიშვილმა კვირკველიას ჭიდაობა ასე შეაფასა: „მანუჩარს ძალიან კარგად ვიცნობ, ის ჩემი სტუდენტი იყო. პეკინში ჩვენ არა მარტო მანუჩარის, არამედ მისი პირადი მწვრთნელის, ბეგი დარჩიას თავდაუზოგავი შრომის შედეგად მიღწეულ გამარჯვებას ვზეიმობდით. ის ოლიმპიურ სოფელშიც კი ყველასგან გამორჩეული იყო.“

პეკინის ოლიმპიური თამაშების წინ საქართველოს ძიუდოსტთა და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნული გუნდის წევრებმა მზადების ერთ-ერთი ეტაპი ბორჯომში ერთად გავიარეთ. მე მანუჩარის მომავალი გამარჯვებისა სწორედ იქ ვირწმუნე. თავდაუზოგავად ვარჯიშობდა. პეკინში მან თავისი საუკეთესო თვისებები წარმოაჩინა და მისმა ჭიდაობამ მართლაც საყოველთაო აღტაცება გამოიწვია“.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მსოფლიოს ჩემპიონი, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი მუხრან ვახტანგაძე მეგობრის ჭიდაობას, უკვე კარგა ხანია, სპეციალისტის თვალთა აფასებს და მან პეკინის ოლიმპიური ოქრო მგლის ხახიდან გამოგლეჯილი ლუკმას შეადარა. ვახტანგაძე ამბობს, რომ მანუჩარის უახლოესი მეგობარია: „მედალს ორი მხარე აქვს. ხალიჩაზე ძალა, ხოლო ცხოვრებაში ღირსება მტკიც-

დება. მანუჩარი ღვთისმოსშიში კაცია და მეამაყება, რომ მთელი ცხოვრება ჩვენ ერთად გავატარეთ. აკაკი ჩაჩუა, ალექსანდრე დოხტორიშვილი და შმაგი გოქაძე — კონკურენტები, რომლებიც მანუჩარმა უდიდესი ნებისყოფის ხარჯზე ჩამოიცილა და რომ არა ეს წინააღმდეგობები, მანუჩარს ოლიმპიური ჩემპიონობა გაუჭირდებოდა,“ — თვლის მუხრან ვახტანგაძე და მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონატის ამბებს იხსენებს: „განადგურებული იყო, სამი-ოთხი თვე შოკიდან ვერ გამოდიოდა. მანუჩარს ის ჩემპიონატი რომ მოეგო, მოდუნდებოდა და პეკინში, შეიძლება, ბრძოლის ჟინიც დაეკარგა. ეს ღვთის ნება იყო. ის ისეთივედ დარჩა, როგორიც მაშინ იყო, როდესაც ვინცეზდით ჭიდაობას. მანუჩარი არც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე მოპოვებული ოქროს მედლების შემდეგ შეცვლილა და არც ახლა, ოლიმპიური ჩემპიონობის შემდეგ. ასე რომ, ის არა მარტო თავისი, არამედ ყველა წონითი კატეგორიის ლიდერია.“

ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი რამაზ ნოზაძე კი ამბობს: „ბეგი დარჩიამ ნაკრების თითოეული წევრის თავისებური ფსიქოლოგიური პორტრეტი შექმნა. ყველას ხასიათი იცის. მე რომ მანუჩარის მსგავსად მომიდგეს, შეიძლება ყველაფრის ხალისი დავკარგო. ბეგი მანუჩართან ურთიერთობაში ძალიან განსხვავებული იყო, მის მიმართ დღესაც გაათმაგებული მოთხოვნები აქვს და, გაგეცი-ნებათ, დღესაც პატარა ბავშვებივით გვასწავლის.“

კვირკველია და ნოზაძე საერთაშორისო სარბიელზე ხშირად ერთად გამოდიოდნენ, პარალელურად, თანაგუნდელებსა და მეგობრებს ერთად გულშემატკივრობდნენ. 2003 წელს, მანუჩარის მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ, რამაზმა ფინალში გადასასვლელი შეხვედრა წააგო. ზის თურმე ყურებჩამოყრილი და ამ დროს მასთან მანუჩარი მივიდა და შემოუძახა, მტერს რატომ ახარებო. გახურდა რამაზი და ისე ლამაზად იჭიდავა, რომ დღეს უკვე ხუმრობს კიდევ, ის შეხვედრა ფიზიკურად მე მოვიგე, ფსიქოლოგიურად კი კვირკველიამო.

ახალგაზრდა მოჭიდავეებისთვის მანუჩარ კვირკველია უკვე კერპად იქცა, თავად კი ასეთად ლეგენდარულ გივი კარტოზიას მიიჩნევს.

მანუჩარ კვირკველია

დაიბადა 1978 წლის 13 ოქტომბერს ოზურგეთში. ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე (66, 74 კგ). XXIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (2008, პეკინი), მსოფლიოს ჩემპიონი (2003) და ორგზის მესამე პრიზიორი (2002, 2006), ევროპის ჩემპიონი (2007), მეორე (2002) და მესამე (2006) პრიზიორი, მრავალსაერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, XXVIII ოლიმპიური თამაშების მონაწილე (2004, ათენი — დისკვალიფიკაცია). ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის, ღირსების ორდენის და მედლის კავალერი.



MANUCHAR KVIRKVELIA

Greco-Roman wrestler (66, 74 kg), was born on October 13, 1978 in Ozurgeti. He is a champion of the XXIX Olympic Games (2008, Beijing), world champion in 2003 and twice bronze medalist in 2002 and 2006. Kvirkvelia is also a champion of Europe in 2007 and silver (2002) and bronze (2006) medalist of European championships. Kvirkvelia is a winner of many international tournaments and an entrant of the XXVIII Olympic Games of 2004 in Athens where he was disqualified. Kvirkvelia is decorated by Vakhtang Gorgasali order of the 2nd rate and by the Order of Honor.